



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 11

ქ. გარდაზანი

30.05.2024



11-06-4-202405301512

„გარდაზნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „გარდაზნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენტა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 01/05/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016575) დამტკიცებულ დანართში და

1) დანართის მეორე მუხლის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ჯილდო გაიცემა მხოლოდ იმ სპორტსმენტებზე, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებულ სპორტულ ფედერაციებს.“;

2) დანართის მეოთხე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის 1.5 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.5 ვეტერანთა შორის;

ბ) მესამე პუნქტის 3.5 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.5 ვეტერანთა შორის;

გ) მეოთხე მუხლის 4.5 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.5 ვეტერანთა შორის.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

